სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახურის განცხადება ბულგარეთის ხელისუფლების მიერ სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვრის ქვეყნიდან გაძევებასთან დაკავშირებით

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 21.09.2023. 2023 წლის 21 სექტემბერს ბულგარეთის ხელისუფლებამ სოფიაში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მეტოქიონის წინამძღვარს, არქიმანდრიტ ბასიანეს (ზმეევი), მეტოქიონის მდივანს, დეკანოზ ევგენი პაველჩუკს და მეტოქიონის თანამშრომელს მოსთხოვა ქვეყნის ტერიტორიის დატოვება ოცდაოთხი საათის განმავლობაში იმ ყალბი საბაბით, რომ თითქოს ბულგარეთში მათი ყოფნა „საფრთხეს უქმნის სახელმწიფო უსაფრთხოებას“.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მკაცრი პროტესტით გამოდის ბულგარეთიდან თავისი წარმომადგენლების უსაფუძვლოდ განდევნის წინააღმდეგ. სასულიერო პირების გაძევება, რომელთა მოწოდებაც არის ღვთისა და ხალხის მსახურება, ხალხთა შორის მშვიდობისა და ძმობის ქადაგება, არის აღმაშფოთებელი ქმედება, ნაკარნახევი რუსოფობიური მოტივებით და ბულგარეთისა და რუსეთის საერთო ისტორიის დიდებული ფურცლების წაშლის სურვილით.

სოფიაში, წმინდა ნიკოლოზის რუსული ტაძარი, სადაც მდებარეობს რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეტოქიონი, ბოლო ასი წლის განმავლობაში ჩვენი მოძმე ხალხების სულიერი ერთობის სიმბოლოა. მისი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებთან, მათ შორის ბერძნულ-ბულგარული განხეთქილების დაძლევასთან და ბულგარეთის საპატრიარქოს აღდგენასთან. მეტოქიონის მრევლმა, რომელთა შორისაც ბევრი იყო რუსული ემიგრაციის წარმომადგენელი, შესამჩნევი წვლილი შეიტანა ბულგარეთის საღვთისმეტყველო მეცნიერებაში.

ტაძრის საძვალეში მდებარეობს მისი ყოფილი წინამძღვრის, წმინდა მღვდელთმთავარ სერაფიმეს (სობოლევი) საფლავი, რომელსაც დიდად აფასებენ როგორც ბულგარეთის, ისე რუსეთის ეკლესიაში. სოფიისა და სხვა ქალაქების უამრავი მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოველდღე მოდის მისი წმინდა ნეშტის მოსალოცად. ხელისუფლების ამჟამინდელი გადაწყვეტილება ასევე გამოხატავს მათ უპატივცემულობას მორწმუნეთა გრძნობების მიმართ, რომლებიც ამიერიდან მოკლებულნი იქნებიან საფლავის მოლოცვის შესაძლებლობას მეტოქიონის საქმიანობის შეწყვეტის გამო.

ბულგარეთის ხელისუფლების მიერ მიღებული პოლიციური თვითნებობის სასტიკი ზომა მიმართულია ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობების შესალახად ორ და-ეკლესიას შორის და მიზნად ისახავს ძმური ხალხების ერთმანეთთან დაპირისპირებას, რომლებსაც საერთო ისტორია და ერთი სარწმუნოება აკავშირებთ. დარწმუნებულები ვართ, რომ ამ შეურაცხმყოფელი ქმედების ინიციატორთა გეგმები ჩაიშლება. მოსკოვისა და ბულგარეთის საპატრიარქოები შეინარჩუნებენ საუკუნეების მანძილზე დამყარებულ ერთობას და ერთად დადგებიან ჩვენი ხალხების ისტორიული მეხსიერების სადარაჯოზე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90780/